# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120269242**
თარიღი: **25/09/2020**
პინი: **7294**

**ადრესატი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან გადმოეგზავნა თქვენი 09.11.20 წლის #149722 (14.09.2020 წლის #17-0120252849-16) წერილი, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით პოზიციას ქ. თბილისში, 01.72.14.032.103 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან 737 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვასა და განვითარების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სააგენტოს 01.72.14.032.103 საკადასტრო ერთეულის წარმოდგენილი სახით გამიჯვნა და შემდგომ განკარგვა. ამასთან, მოხდეს საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთ საზღვრის კორექტირება და ტროტუარისთვის განისაზღვროს 1,5 მეტრიანი ფართი.

რაც შეეხება მის სამშენებლო განვითარებას, განგიმარტავთ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მითითებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს მხოლოდ არსებულ/დაგეგმილ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არასასოფლო-სამეურნეო ან/და საკარმიდამო გამოყენების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. განაშენიანების დომინირებული სახეობაა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟიული შარტავას ქ. №7, (+995 32) 237 81 26